სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

06 აპრილი 2026

N 221/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქ ბათუმში შპს „ნოვა“-ს პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ნოვა“-ს მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო), კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

2018 წლის პირველ მარტს ქალაქ ბათუმში შპს „ნოვა“-ს პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-121).

2019 წლის 15 თებერვალს, ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-121) გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №2-147), რომლის საფუძველზეც ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გზშ-ს არ დაექვემდებარა.

2020 წლის 19 ოქტომბერს გამოიცა გადაწყვეტილება ქალაქ ბათუმში შპს „ნოვა“-ს პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ 2018 წლის პირველი მარტის №2-121 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ (ბრძანება №2-937).

2022 წლის 11 მარტს შპს „ნოვა“-ზე გაცემული ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-121) შპს „ნოვა ფროდაქშენ“-ს გადაეცა (ბრძანება №2- 182).

2023 წლის 5 დეკემბერს ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-121) გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №689/ს), რომლის საფუძველზეც ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გზშ-ს არ დაექვემდებარა.

2024 წლის 23 იანვარს შპს „ნოვა ფროდაქშენ“-ზე გადაცემული ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-121) კვლავ შპს „ნოვა“-ს გადაეცა (ბრძანება №2-24).

2024 წლის პირველ მაისს ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-121) გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №230/ს), რომლის საფუძველზეც ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გზშ-ს არ დაექვემდებარა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებითა (ბრძანება №2-121) და ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებებით (ბრძანება №2-147, №689/ს, №230/ს) გათვალისწინებული პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმო მდებარეობს ქალაქ ბათუმში შპს „ნოვა“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.32.06.948; ფართობი: 47 650 მ^2). საწარმოს საქმიანობას წარმოადგენს პოლიეთილენის ფხვნილის და გრანულების დამუშავების, ასევე საწარმოში წარმოქმნილი პოლიეთილენის ნარჩენების (საწარმოო პროცესში მიღებული ნაწიბურები და წუნდებული პროდუქცია) აღდგენის გზით, სასმელი წყლის შესანახი პოლიეთილენის ავზების წარმოება. შესაბამისი დაკვეთის შემთხვევაში, საწარმოში ასევე ხორციელდება საგზაო ჯებირების, ნარჩენების კონტეინერების და საკანალიზაციო წყლის ავზების დამზადება. საწარმო აღჭურვილია 2 ერთეული „Polivinil“-ის მარკის, ჯამურად 6,4 ტ/დღღ (თითოეული – 3,2 ტ/დღღ) წარმადობის მბრუნავი ჩამოსხმის, ასევე პოლიეთილენის ნარჩენების დასაქუცმაცებელი (1 000 კგ/დღღ) და გრანულების საფქვავი (300-400 კგ/დღღ) დანადგარებით. საწარმოში აგრეთვე მოწყობილია ნარჩენების დროებითი შენახვის და სამღებრო უბნები. საწარმო მუშაობს წელიწადში 330 დღე, ზამთრის პერიოდში 12-საათიანი, ხოლო ზაფხულის პერიოდში 24-საათიანი გრაფიკით.

მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საწარმოსთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთი კვეთს ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ საიტს („ჭოროხი დელტა“ №0000054).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოსთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 860 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდინარე ჭოროხი – 370 მეტრით. საწარმოსთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან შავი ზღვის სანაპირო ზოლამდე პირდაპირი მანძილი 2,5 კილომეტრზე მეტია.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმოსთვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთზე ფუნქციონირებს სხვადასხვა ფორმის პროფილების დამამზადებელი საამქრო, სახურავების დამამზადებელი საამქრო, მეტალოკრამიტის დამამზადებელი საამქრო, სახურავის აქსესუარების დამამზადებელი საამქრო, შენობის ფასადის მოსაპირკეთებელი მასალის დამამზადებელი საამქრო და სახარატე საამქრო.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შპს „ნოვა“ კვლავ გეგმავს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-121) გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებას, რაც საწარმოს წარმადობის და სამუშაო რეჟიმის გაზრდას, ასევე სხვადასხვა პროფილის მქონე საამქროების დამატებას გულისხმობს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს სამუშაო რეჟიმად განსაზღვრული იყო წელიწადში 330 დღე, ზამთრის პერიოდში 12-საათიანი, ხოლო ზაფხულის პერიოდში 24-საათიანი გრაფიკით.

ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით, სამუშაო საათების რაოდენობა 24 საათი გახდება, ხოლო საწარმოში განთავსებულ „Polivinil“-ის მარკის მბრუნავი ჩამოსხმის დანადგარებზე წარმოებული პროდუქცია 2 112 ტონამდე გაიზრდება. ამასთან, გაიზრდება პოლიეთილენის ნარჩენების დასაქუცმაცებელ და გრანულების საფქვავ დანადგარებზე დასამუშავებელი ნედლეულის რაოდენობაც. კერძოდ, პოლიეთილენის ნარჩენების დამაქუცმაცებელ დანადგარზე 1 000 კგ/დღღ ნარჩენის ნაცვლად, 1 500 კგ/დღღ ნარჩენი დაქუცმაცდება, ხოლო საფქვავ დანადგარზე – 300-400 კგ/დღღ გრანულის ნაცვლად, 3 500 კგ/დღღ გრანული, რაც წელიწადში 1 155 000 კგ-ს შეადგენს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ზემოაღნიშნულ ცვლილებებთან ერთად, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით ასევე გათვალისწინებულია საწარმოს ტერიტორიაზე არსებული სამღებრო უბნის გადაიარაღება და სხვა ადგილას გადატანა. გარდა ამისა, საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილია შავი მეტალის საამქროს და ჯართის საპრესი „Fasamak“-ის მარკის დანადგარის მოწყობა. შავი მეტალის საამქრო წელიწადში 50 000 ტონა მეტალის დამუშავებას უზრუნველყოფს, ხოლო ჯართის საპრეს დანადგარზე წელიწადში 362 195 კილოგრამი ჯართი (კოდები: 12 01 01, 12 01 02, 12 01 03, 12 01 04) დაიპრესება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით საწარმოს ტერიტორიაზე ასევე მოეწყობა გადასაფუთი დანადგარი, სადაც წლის განმავლობაში დაახლოებით 700 დაზიანებული წებო-ცემენტის ტომარა გადაიფუთება. ამასთან, საწარმოს ტერიტორიაზე დამატებით განთავსდება სარეზერვო დიზელ-გენერატორი (500 კვტ, 100 ლ/სთ დიზელი).

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-121) გათვალისწინებულ საქმიანობაში მრავალჯერ განხორციელებული და წინამდებარე სკრინინგის განცხადებით კვლავ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობა არსებითად იცვლება. შესაბამისად, აღნიშნული საქმიანობის გზშ-ის ანგარიში და მის საფუძველზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ცვლილებების შედეგად საბოლოო სახით ჩამოყალიბებული პროექტის სრულფასოვნად ასახვას და მისი განხორციელებით გარემოზე მოსალოდნელი რეალური ზემოქმედებების სათანადოდ შეფასებას ვეღარ უზრუნველყოფს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ წინამდებარე სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება მასშტაბური და კომპლექსურია, რაც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან ერთად, სხვადასხვა საქმიანობების, მათ შორის, კოდექსის I დანართის მე-17 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (წელიწადში 362 195 კილოგრამი ჯართის დაპრესვა) განხორციელებასაც მოიაზრებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის წარდგენის საჭიროება.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობებთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქალაქ ბათუმში შპს „ნოვა“-ს პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ **გზშ-ის ანგარიშის წარდგენას საჭიროებს**.
2. შპს „ნოვა“ ვალდებულია, კოდექსის 7^1 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნოვა“-ს.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნოვა“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/221-21-4-202604061043